ბავშვთა თერაპია ზღაპარში

ნატო-რატო რორა

მნიშვნელოვანი უნარები ბავშვისთვის:

- ცნობისმოყვარეობა
- ემოციების გაგება
- მხარდაჭერა

არავინ იცის ზუსტად, რამდენი ცნობისმოყვარე ბავშვი ცხოვრობს დედამიწაზე. ერთი მათგანი 6 წლის გოგონაა, ნატო.

როცა პატარა ნატომ პირველი „აღუს“ ნაცვლად „რატომ“ თქვა, მშობელები ჯერ გაოცდნენ, მერე გაუხარდათ, ცნობისმოყვარე და ჭკვიანი გოგონა გვეყოლებაო! მალე ლაპარაკიც ისწავლა და იმდენ კითხვას სვამდა, ზედმეტსახელად ნატო-რატო დაარქვეს. მარტო კითხვის დასმაში კი არ იყო ყოჩაღი?! პასუხების მოსმენაშიც! რასაც უხსნიდნენ, ყველაფერს იმახსოვრებდა, თუმცა სულ უფრო მეტი კითხვა უჩნდებოდა.

ასეთ ნატო-რატოს მარტო ზედმეტსახელი რას ეყოფოდა?! გოგონას მალე ზედმეტგვარიც გამოუგონეს - რორა, რო-გორისა და რა-ტომის გამო. გგონიათ, ეწყინა? იტირა? გაიბუტა? ძალიანაც გაუხარდა! იცინა და იცინა! ისე მოსწონდა თავისი ზედმეტსახელი და ზედმეტგვარი, რომც არ გეკითხათ, რა გქვია და რა გვარი ხარო, მაინც გეტყოდათ: მიცნობდეთ - მე ნატო-რატო რორა ვარო!

ნატო-რატო რორას ყველაფერი აინტერესებდა: დედამიწისა თუ კოსმოსის ამბები, ანიმეები, პრინცესები, დინოზავრები... და, რა თქმა უნდა, წიგნების თვალიერება და კითხვაც უყვარდა.

ერთხელ უცნაური ზღაპარი წაიკითხა, თუ როგორ წაართვა ბავშვებს ბოროტმა ჯადოქარმა ემოციების გამოხატვის უნარი. ბავშვები ვეღარც იცინოდნენ, ვეღარც ტიროდნენ, ვეღარც თამაშობდნენ. პატარებს აღარ შეეძლოთ დედიკოებს ჩახუტებოდნენ, მოფერებოდნენ და ეთქვათ „დედა, მიყვარხარ“. არ შეეძლოთ, ბურთით ეთამაშათ და სიხარულით ეყვირათ „გოლ!“, საჩუქრის მიღებისას ვერც მადლიერებას და სიხარულს გამოხატავდნენ ღიმილით. არც ის ეტყობოდათ, თუ რამე წყინდათ, ტკიოდათ ან ეშინოდათ. არც მღეროდნენ, არც ცეკვავდნენ. ზღაპარში მოჯადოებულ ბავშვებს კეთილი ფერია დაეხმარა და ყველა ემოცია დაუბრუნა.

პატარებს ძველებურად შეეძლოთ ეხტუნათ, ეხარათ, ეცინათ, ეთამაშათ, ეტირათ, ეყვირათ, ემღერათ, ზღაპრებისთვის ესმინათ, ფილმები ეყურებინათ, გემრიელი კანფეტი ეკნატუნებინათ და ეძახათ „დე, ძალიან მიყარხარო!“ რამდენი ეძება კეთილმა ფერიამ ბოროტი ჯადოქრის მიერ გადამალული ყველა სიცილი და ყველა ცრემლი, ყველა ფერადი სიზმარი, ყველა სიხარული, ყველა სევდიანი თუ ბედნიერი დღე... იოლი არ იყო, მაგრამ კეთილმა ჯადოქარმა ეს შეძლო!

ნატო-რატო რორა ძალიან ააფორიაქა ამ ზღაპარმა. შეშინებულმა გარეთაც კი გაიხედა, ჩვენს ქუჩაზეც ხომ არ დადის ეს ბოროტი ჯადოქარიო. შეშფოთებულმა ყურადღებით ათვალიერა ეზოც. იქ ჯადოქრის მსგავსი არავინ ჩანდა. მერე საწოლის და სავარძლის ქვეშაც შეიხედა ფრთხილად. სათამაშოების ვეება მოწნული კალათაშიც ჩაიხედა. ჯადოქრის მსგავსიც კი არავინ ჩანდა... დამშვიდდა, მაგრამ მაინც ბებიას ახლოს ჯდომა და საუბარი არჩია.

- ჩვენს ქალაქშიც რომ გამოჩნდეს ასეთი ჯადოქარი და დედიკოს მოფერება ვეღარ შევძლო? ვერც ვიცინო, ვერც ვიტირო?- შეშფოთებულმა ჰკითხა ბებიას და თან ზღაპარიც მოუყვა.

ბებიამ გაუღიმა, მიეფერა და დაამშვიდა:

- ნუ გეშინია, ბოროტი ჯადოქრები მხოლოდ ზღაპრებში არსებობენ. შენ ვერავინ მოგაჯადოებს. ვერც სხვა ბავშვებს. ვერც გრძნობებს წაგართმევს ვერავინ. ყველაფერს შეძლებთ: სიცილსაც, სიხარულსაც, გაბრაზებასაც, ტირილსაც... შენს ცნობისმოყვარეობასაც არაფერი ემუქრება. ეს ყველაფერი შენია, შენს შიგნითაა. მათ ხელს ვერავინ ახლებს. თავისუფლად გაიცინე, გაიხარე, გაბრაზდი, მოიწყინე, მშობლებსაც ჩაეხუტე, ითამაშე, ისწავლე. ეს ყველაფერი შენი პასუხებია იმ მოვლენებზე, რაც შენს გარშემო ხდება.

ნატო-რატო რორა ჩვეული ცნობისმოყვარეობით უსმენდა ბებიას.

- დედამიწაზე 7 ათასამდე ენა არსებობს თურმე. ენები სიტყვების ფაზლია. სხვადასხვა სიტყვებისგან აწყობ სხვადასხვანაირ წინადადებებს. იმას ამბობ, რისი თქმაც გინდა. გამოთქვამ შენს სურვილებს და სხვებს აგებინებენ, ამბებს უყვები... ხომ ასეა?

-კი, ბებო, ასეა!

-მაგრამ იცოდე, რომ სიტყვების ენის გარდა არსებობს სხვა ენებიც - განცდებისა და გრძნობების ენაც. მას ემოციების ენა ჰქვია. ადამიანებმა ამ ენითაც უნდა ვესაუბროთ სხვებს და სხვების ემოციებიც უნდა გავიგოთ. შეგიძლია სარკის წინ დადგე და საკუთარ სახეს შეხედო, რა განსხვავებულია იგი, როცა ტირის, როცა ეშინია, როცა იცინის, როცა ყვირის, ბრაზობს... გინდა, ვითამაშოთ „ემოციობანა?“ აბა, დამაკვირდი და გამოიცანი, რას გამოხატავს ჩემი სახე?

ბებია სხვადასხვანაირ გამომეტყველებას იღებდა. გამუდმებით იცვლიდა სახეს. ნატო-რატო რორა გაფაციცებით აკვირდებოდა, თუ გამოვიცნობო. გაიძახოდა - ეს სიხარულია, ეს ბრაზია, ეს შიშია, ეს გაოცებაა, ეს კმაყოფილებაა... ყველაფერი გამოიცნო!

ბებიაც მთელი მონდომებით თამაშობდა სხვადასხვა როლს. კარგად გაერთვნენ. ბევრიც იცინეს.

-ხვალაც ვითამაშოთ, გთხოვ!

-ხვალაც ვითამაშოთ. მე კიდევ ვიცი სხვა ასეთი თამაშები, როცა გავისეირნებთ, პარკში ან ქუჩაში ადამიანებს დავაკვირდეთ და გამოვიცნოთ, ვის რა ემოცია ექნება სახეზე, კარგი?

-კარგი! მე გამოვიცნობ, ბე და გეტყვი, ჰო? კიდე მელაპარაკე, გთხოვ.

-მე მგონი, კარგად მიხვდი, რომ ემოცია ადამიანის სხეულის პასუხია სხვადასხვა მოვლენაზე. ჩვენი გონება, გული, ფიქრი, ცოდნა, გამოცდილება ანუ ყველაფერი ერთად თავიანთ აზრებს გამოხატავენ და საბოლოოდ კი, ხან გვიხარია, ხან ვიცინით, ხან ვტირით, ხან გვტკივა, ხან ვბრაზობთ...

-ჯადოქრის რომ შემეშინდა, ამიტომ ავფორიაქდი, ხომ? შიშმა ამაფორიაქა, საშიშმა ამბავმა შემაშფოთა.

-კი, ბებო, ასეა! ემოციების ენითაც ვყვებით ამბავს. უემოციობა კი უსიტყვობას ჰგავს. ერთმანეთთან დალაპარაკება რომ არ შეგვეძლოს, ხომ ცუდი იქნებოდა?! სიტყვები რომ დაიკარგოს, გაქრეს და ვეღარაფერი ვუთხრათ ერთმანეთს, ასე იქნება, თუ ემოციებს ვერ გამოვხატავთ. გულში ჩავიხვევთ, დავმალავთ და არ გამოვამჟღავნებთ.

არ მინდა, რომ სიტყვები დაიკარგონო, ვეღარ ვიკითხავ, რატომ და როგორო? ვერც ნატო-რატო რორა ვიქნებიო,- შეშფოთდა გოგონა. ბებიამ კი, ხელები მოხვია და გულში ჩაიკრა.

- მინდა ესეც იცოდე, ნატო-რატო, რომ დედამიწის სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებ ადამიანებს ერთნაირი ემოციები აქვთ: აფრიკელს, აზიელს, ევროპელს, ამერიკელს, ავსტრალიელს ერთნაირად უხარიათ, იღიმიან, ერთნაირად ბრაზდებიან, ერთნაირად აინტერესებთ, უკვირთ, ეზიზღებათ, სძულთ ან უყვართ, ერთნაირად ტკივათ, ტირიან, ეშინიათ, სიამოვნებთ, იცინიან... ამ ემოციებისა ყველას ესმის, ერთმანეთისთვის უცხო ადამიანებსაც კი. როცა გესმის სხვების განცდა, თავს მათ ახლობლადაც კი გრძნობ. მტრებს ერთმანეთის არაფერი ესმით და არც აინტერესებთ. მეგობრებს კი ერთმანეთის ყველაფერი ესმით და აინტერესებთ ერთმანეთის ამბები. ხომ ასეა?

- ჰო, ბე, ახლა დავფიქრდი ამაზე. ასეა!

- როცა სხვისი გესმის და ხვდები, რა სჭირდება მას, იბადება თანაგრძნობა - სხვათა ტკივილის და სიხარულის გაზიარება - ყველაზე დიდი ადამიანური სიკეთე! ასე იბადება მეგობრობაც, სიყვარულიც.

-სიკეთე კი ყველაფერზე კარგია, ხომ?

- სიკეთეს არაფერი სჯობს ქვეყნად!

-ამას იქით უფრო დაკვირვებული ვიქნები, თუ ვინმეს დახმარება ენდომება, დავეხმარები! თუ გამიღიმებს, მეც გავუღიმებ, თუ მაწყენინებენ, ვეტყვი, რომ მაწყენინა და გული მატკინა. ბე, მე უკვე მივხვდი, რომ მიყვარხარ, ამიტომ გიღიმი, გეფერები და მიყვარს შენთან საუბარიც. კიდევ მივხვდი, სიბნელე მაშინებს და ამიტომ არ მიყვარს ღამე; ნემსის გაკეთებაც არ მიყვარს და ვიბუზები; ბე, შენ რომ ავად გახდი და ფეხი გტკიოდა და მე ვტიროდი - ეს ყველაფერი ემოციებია, ხო?

დიდხანს ისაუბრეს დიდმა და პატარა ნატოებმა... ძილის დროც დადგა.

დილით კი ნატო-რატო რორამ მოწყენილმა და აცრემლებულმა გაიღვიძა. შეწუხდნენ მშობლებიც, ბებიაც. სიცხე გაუზომეს, მუცელი გაუსინჯეს, მაგრამ გოგონა ხმას არ იღებდა და გაბუსხული საწოლზე იჯდა თავის მეგობარ ჟირაფ ინოსთან ერთად. ჟირაფინო ხომ ნატო-რატოს დიდი მესაიდუმლე იყო ბავშვობიდან.



მშოლებმა ჟირაფინოს სთხოვეს, იქნებ შენ გვითხრა, რა სჭირს ჩვენს შვილიკოსო. ჟირაფინომ მეგობარს შეხედა, თითქოს ნებართვას ითხოვსო და თქვა, რომ გოგონამ სიზმარში ზღაპრის ბოროტი ჯადოქარი ნახა, რომელსაც მისი ემოციების წართმევა უნდოდა და ამიტომაა ასე უხასიათოდ, არ ახსოვს ზუსტად, წაართვა ემოციები თუ ვერაო.

-ბოროტ ჯადოქარს დამიხედე, როგორ გაბედა შენს სიზმარში შემოსვლა!-გაბრაზდა მამა.

- ვბრძანებ, აღარასოდეს გამოჩნდეს ჩვენს ქალაქში! - დაამატა დედამაც.

- მე კი ისეთი გემრიელი საუზმე გაგიმზადე, ეტყობა ამ სურნელმა სიზმარშიც შეაღწია და ბოროტ ჯადოქარსაც მოუნდა გემრიელი „ყიყლიყოთი“ ესაუზმა, - გაუღიმა დიდმა ნატომ პატარა ნატოს. აბა, გამიღიმე, გავიგოთ წაიღო თუ ვერა შენი ემოციები მშიერმა ჯადოქარმაო.

ნატო-რატო რორას თვალებში ღიმილი ჩაუდგა.

- ვაშა! გადავრჩენილვართ! თვალებში ღიმილის პატარა ყვავილებს ვხედავ! რადგან შაბათია, საუზმის მერე ყველანი პარკში მივდივართ და ნაყინსაც მივირთმევთ! შაბათი ბატუტზე ხტუნაობის დღედ გამომიცხადებია! - ბრძანა ბებომ.

-პარკში სხვებს დავაკვირდეთ და „ემოცების გამოცნობანა“ ვითამაშოთ, - ამოიღო ხმა ნატო-რატომ. მერე ცოტათი გაიღიმა. მერე კი ძველებურად, მთელ სახლს ღიმილი მიაფრქვია. ჟირაფინომ ყველას მიასწრო „ყიყლიყოებიან“ ლანგართან მისვლა.

კარგი დღე იწყებოდა!